შპს „კარიატიდა“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის: ქ. თბილისი. კოსტავას ქ. №71

ტელ.: (+995) 59199 00 11

ს/კ: 405274251

ინსპექტირების ანგარიშის № CA-055/08/26-B055

გაცემის თარიღი: 16.10.2026წ

ინსპექტირების პერიოდი: 27.08.-16.10.2026

ინპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:
ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. №120-ში
(ს/კ 01.13.08.005.038) მდებარე დასაშლელი შენობების
მიმდებარე ნაგებობების გამოკვლევა და მათი
ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება.

ვამტკიცებ.

დირექტორი Jaba Gubelidze 01008050278 ჯ. გუბელიძე

ინსპექტირების ანგარიში

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	ფ.პ. ნიკოლოზ მანწკავა პ.ნ. 01119090104
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი: № B055 (27.08.2026წ) ხელშეკრულება № CA-055/08/26-B055 (27.08.2026წ.)
ინსპექტირების სფერო:	ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. №120-ში (ს/კ 01.13.08.005.038) მდებარე დასაშლელი შენობების მიმდებარე ნაგებობების გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება.

თბილისი
2026 წელი

სარჩევი

1 ინსპექტირების შემსრულებლები ---------- 3

2 ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები ---------- 3

3 გამოყენებული ხელსაწყოები ---------- 3

4 ინსპექტირების მიზანი ---------- 3

5 კვლევითი ნაწილი ---------- 4

6 დასკვნა ---------- 36

7 გამოყენებული ნორმატიული და დახელმძღვანელო დოკუმენტები ---------- 37

1. გაფრთხილება

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორ(ებ)ი: ო. გიორგიშვილი - Olgha Giorgishvili 01019040133 Digitally signed by Olgha Giorgishvili Date: 2026.10.16 08:11:19 ----------

2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები

- ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. №120-ში (ს/კ 01.13.08.005.038) არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი, შემსრულებელი ლ. მექვაბიშვილი.

3 გამოყენებული ხელსაწყოები

1. Nikon D3100 ციფრული ფოტოაპარატი – ვიზუალური დათვალიერების ფოტოფიქსაცია;
2. ლაზერული მანძილმზომი ობიექტის ზომების, ფართისა და მოცულობის აზომვა.

4 ინსპექტირების მიზანი

ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. N120-ში (ს/კ 01.13.08.005.038) მდებარე შენობის დაშლის მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის შესწავლა. გამოკვლევის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი საექსპერტო დასკვნის და ინსპექტირების ანგარიშის მომზადება.

5 კვლევითი ნაწილი

5.1 ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. №120-ში (ს/კ 01.13.08.005.038) შენობების დაშლის სამუშაოების ზეგავლენის სფეროს დადგენა

დასაშლელი შენობა განთავსებულია წინამძღვრიშვილის ქ. N120-ში (ს/კ 01.13.08.005.038) არსებულ ტერიტორიაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილების [6], თავი III, მუხლი 6, პუნქტი 9-ის მიხედვით, სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების ზეგავლენის სფეროს რადიუსი შემოიფარგლა 10მ-ით, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობების 50 მ-ით. აქედან გამომდინარე ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. N120-ში (ს/კ 01.13.08.005.038) მდებარე შენობის დემონტაჟის ზეგავლენის სფეროში მოხვდა შემდეგი ნაგებობები:

ნაგებობა №1 - წინამძღვრიშვილის ქ. №118-ში (ს.კ. 01.13.08.005.026) მდებარე შენობა;

ნაგებობა №2 - წინამძღვრიშვილის ქ. 116-ში (ს.კ. 01.13.08.005.035) მდებარე შენობა;

ნაგებობა №3 - წინამძღვრიშვილის ქ. №99-ში (ს.კ. 01.16.01.012.002) მდებარე შენობა;

ნაგებობა №4 - წინამძღვრიშვილის ქ. №103-ში (ს.კ. 01.16.01.012.004) არსებული 1(1) შენობა;

ნაგებობა №5 - ტოვსტონოგოვის ქ. №13-ში (ს.კ. 01.13.08.005.001) მდებარე შენობა;

ნაგებობა №6 - ტოვსტონოგოვის ქ. №11-ში (ს.კ. 01.13.08.005.032) მდებარე შენობა;

ნაგებობა №7 - ტოვსტონოგოვის ქ. №10-ში (ს.კ. 01.13.08.004.010) მდებარე შენობა;

ნაგებობა №8 - წინამძღვრიშვილის ქ. №122-ში (ს.კ. 01.13.08.005.025) არსებული შენობა.

ნაგებობა №1 უშუალოდ ემიჯნება სადემონტაჟო შენობის საკადასტრო საზღვრებს. ნაგებობა №2 სადემონტაჟო შენობიდან დაშორებულია 29,6მ-ით. ნაგებობა №3 სადემონტაჟო შენობიდან დაშორებულია 42მ-ით. ნაგებობა №4 10მ.-ით, ნაგებობა №5 7მ-ით არის დაშორებული სადემონტაჟო შენობიდან, ნაგებობა №6 - 26მ.-ით, ხოლო ნაგებობა №7 დაშორებულია 38მ.-ით. ნაგებობა №8 უშუალოდ ემიჯნება სადემონტაჟო შენობის საკადასტრო საზღვრებს (სურ.1).

5.2 ქ. თბილისში, თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. N120-ში (ს/კ 01.13.08.005.038) მდებარე სადემონტაჟო შენობის მიმდებარე ნაგებობების ვიზუალური გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება

წინამდებარე პარაგრაფში მოყვანილია თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. N120-ში (ს/კ 01.13.08.005.038) მდებარე სადემონტაჟო შენობის მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევის შედეგები და მათი ანალიზი. შესაძლებლობების ფარგლებში დაფიქსირებულია და აღწერილია აღნიშნული შენობების მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, შეფასებულია მათი ტექნიკური მდგომარეობა.

ნაგებობა № 1

ნაგებობა №1 წინამძღვრიშვილის ქ. №118-ში (ს.კ. 01.13.08.005.026) მდებარე 1(3) შენობა საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს (სურ. 1, 2). მას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

ნაგებობა №1 სადემონტაჟო შენობის სამხრეთით მდებარეობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი უშუალოდ ემიჯნება სადემონტაჟო შენობის საკადასტრო საზღვრებს (სურ. 1). შენობა ოთხსართულიანია სარდაფით. შენობის მცირე ნაწილზე განხორციელებულია დაშენება. ნაგებობა №1-ს გეგმაში რუსული ასოს „П“-ს ფორმა აქვს. შენობა მთავარი ფასადით წინამძღვრიშვილის ქუჩაზე გამოდის. მას გააჩნია მცირე ზომის შიდა ეზო, რომელიც წინამძღვრიშვილის ქუჩას სამანქანო გვირაბით უკავშირდება (სურ. 3). გვირაბში შესასვლელში შეკიდულია ჭიშკარი, რომელიც ლითონის კონსტრუქციას წარმოადგენს.

კონსტრუქციული თვალსაზრისით ნაგებობა №1 1(3) შენობა აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლებიან შენობას წარმოადგენ, ყოველგვარი ჩანართების და გაძლიერების გარეშე. აგურის მზიდი კედლები განთავსებულია როგორც გრძივი,

ასევე განიცი მიმართულებით. წყობაში გამოყენებულია სტანდარტული 250×120×65მმ ზომის კერამიკული აგური. წყობა შესრულებულია ქვიშა-კირის დუღაბით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ **ნაგებობა №1-ს 1(3) შენობას გეგმაში რუსული ასოს „П“-ს ფორმა აქვს და იგი ანტისეისმური დეფორმაციული ნაკერებით არ არის დაყოფილი გეგმაში მარტივ ნაკვეთურებად, რაც არ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტი [3]-ის, თავი III. მუხლი 6, პუნქტი 1-ის მოთხოვნებს მოთხოვნებს.**

სართულშუა გადახუვები მოწყობილია ხის მზიდ კოჭებზე დაფენილი ფიცარნაგებით.

ფანჯრებისა და კარებების ზღუდარები აგურის წყობით შესრულებულ ნახევარწრიულ და სოლისებრი ტიპის კონსტრუქციას წარმოადგენს (სურ. 4, 5). რამოდენიმე უბანზე ფანჯრის ღიობის ზღუდარები მოწყობილია ლითონის შველერებით (სურ. 6).

სახურავის მზიდი კონსტრუქციები (ნივნივები, დგარები, გრძივები, ეფიცვრა ხის მასალით არის შესრულებული. საბურველი მოწყობილია თუნუქის ფურცლებით.

შენობას არც სართულშუა გადახურვის და არც სახურავის დონებზე არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელები, რაც ეწინააღმდეგება პროექტირების ნორმების [3]-ის, თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7-ის მოთხოვნებს.

გამოსაკვლევი შენობის სართულის სიმაღლის შეფარდება მზიდი კედლების სისქესთან ყველა უბანზე ნაკლებია 10-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [3]. თავი III. მუხლი 15, პუნქტი 10-ის მოთხოვნებს რვაბალიანი სეისმური უბნებისათვის.

შენობის შუაკედლისების სიგანის მნიშნელობები ზოგიერთ უბანზე არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში აგურის მზიდკელებიანი ნაგებობებისათვის.

1(3) შენობის კონსტრუქციული სქემა და მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტა არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის უბნისათვის ნორმატიული დოკუმენტის [3] მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე შენობა სეისმურად არადმგრადია.

ნაგებობა №1-ის ფასადის კედელი მორთულია დეკორატიული ნალესობებით, რუსტებით (სურ. 2). შენობის ჩრდილოეთ ფასადის კედელი, ტორეცი, არ არის შელესილი. სახურავის წყალსარინი სისტემის დაზიანების გამო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდებოდა ატმოსფერული წყლების ჩამოდინება ფასადის კედლებზე, რომლის აგრესიული ზემოქმედების შედეგად ზოგიერთ უბანზე წყობაში აგურები ეროზირებულია დუღაბი გამორეცხილია (სურ. 7). ბევრ უბანზე ჩამოცვენილი, გამობერილი და დაზიანებულია ნალესი (სურ. 8, 9, 10, 11).

შენობის ფასადის კედლების ვიზუალური დათვალიერების შედეგად მათზე დაფიქსირდა ბზარები, რომლებიც ვრცელდება საძირკვლებიდან სახურავამდე. განსაკუთრებით ძლიერადაა დაზიანებული მთავარი ფასადის კედლის ჩრდილოეთი ნაწილი (სურ. 10, 12, 13, 14, 15), სადაც ბზარები დიდი გახსნილობისაა. ბზარები ვრცელდება საძირკვლებიდან სახურავამდე ფანჯრის ღიობების გავლით, გაბზარულია შუაკედლისები.

ძლიერ დაზიანებული შენობის ტორეცის კედლები (ჩრდილოეთ და სამხრეთ პერიმეტრის კედლები). ჩრდილოეთ პერიმეტრის კედელზე, მის შუა ნაწილში დიდი გახსნილობის ბზარები შეინიშნება ფანჯრის ღიობების მიმდებარე ზონებში (სურ. 7). ბზარი ვრცელდება კედლის მთელ სიმაღლეზე (სურ. 17, 18). სამხრეთ პერიმეტრის კედელზე ასევე შეინიშნება დიდი გახსნილობის ბზარები, რომლებიც ასევე ვრცელდება საძირკვლებიდან სახურავამდე კედლის მთელ სიმაღლეზე (სურ. 24, 25). ასევე დიდი გახსნილობის ბზარი შეინიშნება ეზოში შესასვლელ სამანქანო გვირაბში (სურ. 16).

ნაგებობა №-1-ის 1(3) შენობის კედელები მოჭიმულია ლითონის ჭიმებით (სურ. 2, 7, 17, 18). უნდა აღინიშნოს, რომ შენობის ამგვარი გაძლიერება დროებითი ხასიათისაა.

აღნიშნული დაზიანებები, დეფორმაციები, ბზარები გამოწვეულია შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდომით, რაც ნაგებობა №1-ის საძირკვლების არასაკმარისი მზიდუნარიონბითაა გამოწვეული. შენობის დაზიანებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შენობის საძიკვლების ტექნიკური მდგომარეობა არადამკამყოფილებელია.

შენობას მთავარი ფასადის მხრიდან გააჩნია ღია ტიპის აივნები (სურ. 19). აივნის ძირითად მზიდ კონსტრუქციას ლითონის №16 ორტესებრი კოჭები წარმოაგდენს რომელშიც ჩაშენებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილები. აივნების მოაჯირები მოწყობილია ლითონის ცხლადნაგლინი ელემენტებით. აივნის კონსტრუქციები ბევრ უბანზე დაზიანებულია (სურ. 12, 14). ლითონის მზიდ ორტესებრ კოჭებზე შეინიშნება ჟანგვის ნიშნები.

შენობას შიდა ეზოს მხრიდან გააჩნია შუშაბანდები, რომლის მზიდი კონსტრუქციები ხის მასალითაა (ხის კოჭები, ძელები) მოწყობილი. სიმველისა და ატმოსფერული ნალექების აგრესიული ზემოქმედების შედეგად ხის კოჭები დამპალია, შუშაბანდების კონსტრუქციები დახრილი და დაბრეცილია (სურ. 20, 21, 22).

შენობას შიდა ეზოს მხრიდან ასევე გააჩნია უსახური მიშენებები (სურ. 23). მიშენებები კუსტარულადაა მოწყობილი. მიშენებების ძირითადი მზიდი კონსტრუქციები ლითონის მილებითა, შველერებითა და ორტესებრი კოჭებითაა მოწყობილი. ლითონის მზიდი ელემენტები არ არის დაფარული ანტიკოროზიული ხსნარით და მათზე შეინიშნება ზედაპირული ჟანგვის ნიშნები.

ვიზუალური კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინამძღვრიშვილის ქ. №118-ში (ს.კ. 01.13.08.005.026) მდებარე 1(3) შენობის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [4], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ზე დაყრდნობით, დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის შკალა MCK-64-ის მიხედვით, III ხარისხისაა (მძიმე დაზიანება);

წინამძღვრიშვილის ქ. №118-ში (ს.კ. 01.13.08.005.026) მდებარე 1(3) შენობის საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგების

ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი [3]-ის მიხედვით ნაგებობა №1 სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №1-ის 1(3) შენობის მზიდი კონსტრუქციები, სახელმღვანელო დოკუმენტის [7], დანართი II, ცხრილი II-2-ის მიხედვით, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთნება III კატეგორიას.

წინამძღვრიშვილის ქ. №118-ში ს.კ. 01.13.08.005.026 ფარგლებში განთავსებულია 3(1) და 4(1) შენობები (სურ. 136, 137, 138). შენობები ბარაკის ტიპის ნაგებობებს წარმოდაგენს. 3(1) შენობა უშუალოდ ემიჯნება სადემონტაჟო ნაგებობას.

კონსტრუქციული თვალსაზრისით ნაგებობა №1-ის 3(1) და 4(1) შენობები აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლიან ნაგებობას წარმოადგენს ყოველგვარი ჩანართებისა და გაძლიერებების გარეშე, რომლის მზიდი აგურის კედლები განლაგებულია როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით. წყობაში გამოყენებულია სტანდარტული 250×120×65მმ ზომის კერამიკული აგური, წყობა შესრულებულია ქვიშა-ცემენტის დუღაბით.

შენობის კედლები შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. შელესვა ძლიერ დაზიანებულია და ბევრ უბანზე ჩამოშლილია. აღნიშნული ნაგებობების ვიზუალური გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ 3(1) და 4(1) შენობები სხვადასხვა დროს ერთმანეთზე მიშენებული ნაწილებისაგან შედგება. შენობები აშენებულია სამშენებლო ნორმების და წესების დარღვევით. შენობებს არ გააჩნია ანტისეისმური დეფორმაციული სარტყელი.

ს.კ. 01.13.08.005.026 ფარგლებში არსებულ შენობასა და სადემონტაჟო ნაგებობების (ს.კ 01.13.08.005.038) 4(1) შენობას გააჩნიათ საერთო სახურავი, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისიწნებული სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას.

წინამძღვრიშვილის ქ. №118-ში ს.კ. 01.13.08.005.026 მდებარე 3(1) და 4(1) შენობები სეისმურად არამდგრადია. მათი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და მიეკუთვნება III კატეგორიას [7].

ნაგებობა №2

ნაგებობა №2 წინამძღვრიშვილის ქ. 116-ში (ს.კ. 01.13.08.005.035) მდებარეობს და იგი დანიშნულების მიხედვით საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს. შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა. იგი სადემონტაჟო შენობის სამხრეთით მდებარეობს და მისგან 29,6მ-ითაა დაშორებული (სურ. 1). ნაგებობა №2 სამსართულიანია სარდაფით (სურ. 26). მას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

ნაგებობა №2-ს გააჩნია ეზო, რომელიც წინამძღვრიშვილის ქუჩას სამანქანო შესასვლელი გვირაბით უკავშირდება (სურ. 27).

კონსტრუქციული თვალსაზრისით ნაგებობა №2 აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლიან ნაგებობას წარმოადგენს ყოველგვარი ჩანართებისა და გაძლიერებების გარეშე, რომლის მზიდი აგურის კედლები განლაგებულია როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით. წყობაში გამოყენებულია სტანდარტული 250×120×65მმ ზომის კერამიკული აგური, წყობა შესრულებულია ქვიშა-კირის დუღაბით. უნდა აღინიშნოს, რომ ნაგებობა №2-ის ეზოში შესასვლელი გვირაბის კედლის წყობაში შეინიშნება რიყის ქვის ჩანართები, ე.წ კახური წყობა (სურ. 27, 28). მსგავი ტიპის კედლები გამოირჩევა სუსტი მზიდუნარიანობით.

სართულშუა გადახურვები მოწყობილია ხის მზიდ კოჭებზე დაფენილი ფიცარნაგებით.

ფანჯრებისა და კარებების ზღუდარები აგურის წყობით შესრულებულ სოლისებრი ტიპის კონსტრუქციას წარმოადგენს. რამოდენიმე უბანზე ზღუდარები მოწყობილია ფოლადის შვერების საშუალებით.

შენობას მთავარი ფასადის მხრიდან გააჩნია ლითონის მზიდი ელემენტებით მოწყობილია ღია ტიპის კონსოლური აივნები (სურ. 26).

სახურავის მზიდი კონსტრუქციები (ნივნივები, დგარები, გრძივები, შეფიცვრა) ხის მასალით არის შესრულებული. საბურველი მოწყობილია თუნუქის ფურცლებით.

ნაგებობა №2-ს გეგმაში რთული ფორმა აქვს და იგი ანტისეისმური დეფორმაციული ნაკერებით არ არის დაყოფილი გეგმაში მარტივ ნაკვეთურებად, რაც არ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტი [3]-ის, თავი III. მუხლი 6, პუნქტი 1-ის მოთხოვნებს მოთხოვნებს.

შენობას არც სართულშუა გადახურვის და არც სახურავის დონებზე არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელები, რაც ეწინააღმდეგება პროექტირების ნორმების [3]-ის, თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7-ის მოთხოვნებს.

გამოსაკვლევი შენობის სართულის სიმაღლის შეფარდება მზიდი კედლების სისქესთან ყველა უბანზე ნაკლებია 10-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [3]. თავი III. მუხლი 15, პუნქტი 10-ის მოთხოვნებს რვაბალიანი სეისმური უბნებისათვის.

შენობის შუაკედლისების სიგანის მნიშნელობები ბევრ უბანზე არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში აგურის მზიდკელებიანი ნაგებობებისათვის.

შენობის კონსტრუქციული სქემა და მოცულობით-გეგმარებითი გადაწყეტა არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის უბნისათვის ნორმატიული დოკუმენტის [3] მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე შენობა სეისმურად არადმგრადია.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ნაგებობა №2-ის აგურის კედელზე ფიქსირდება მრავალრიცხოვანი დაზიანებები. წყალსარინი სისტემის დაზიანების გამო მთავარი ფასადის კედელზე ბევრ უბანზე ჩამოცვენილია ნალესი (სურ. 29, 30, 31, 40), აგურის წყობაში გამორეცხილია დუღაბი. ბევრ უბანზე შეინიშნება ხავსითა და სხვა ხვიარა მცენარეებით დაფარული უბნები, ფასადის კედელზე ამოსულია ხეები. რამოდენიმე უბანზე კედლის აგურის წყობას დაწყებული აქვს რღვევა.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად ასევე დადგინდა, რომ შენობაზე ფიქსირდება მრავალრიცხოვანი დახრილი და ვერტიკალური ბზარები (სურ. 29, 30, 32, 33, 34). ბზარები შეინიშნებზე თითქმის ყველა ფანჯრის ღიობის ზღუდარებზე,

შუაკედლისებზე. ბზარები გამჭოლი ხასიათისაა და ისინი ვრცელდება კედლის მთელ სიმაღლეზე საძირკვლებიდან სახურავამდე. ვიზუალური დათვალიერება მოხდა ასევე შენობაში შესასვლელ სადარბაზოში. შიდა სივრცეში ასევე დაფიქსირდა დიდი გახსნილობის ბზრები (სურ. 35, 36, 37), აქედან გამომდინარე ბზარები გამჭოლი ხასიათისაა.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დაზიანებები განვითარებულია შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდომითი დეფორმაციებით, რაც გამოწვეულია შენობის საძირკვლებისა და ფუძის არასაკმარისი მზიდუნარიანობით.

მთავარი ფასადის მხრიდან შენობას გააჩნია ღია ტიპის კონსოლური აივანი (სურ. 26, 38). აივნის ძირითად მზიდ კონსტრუქციას ლითონის ორტესებრი კოჭები წარმოადგენს. ორტესებრ კოჭებზე ზემოდან დაფენილია ლითონის ფურცელი. აივნის ლითონის მზიდი ელემენტები არ არის დაფარული ანტიკოროზიული ხსნარით. ლითონის მზიდ ელემენტებზე შეინიშნება ჟანგვა.

უნდა აღინიშნოს, რომ შენობაზე ეზოს მხრიდან მოწყობილია შუშაბანდები. შუშაბანდების ძირითადი მზიდი კონსტრუქციები ხის მასალითაა (ხის კოჭები, ძელებიფიცრები) მოწყობილი (სურ. 39, 40, 41). შუშაბანდების მზიდი კონსტრუქციები დაბრეცილია, დახრილია, დარღვეულია მათი გეომეტრია. სიძველისა და ატმოსფერული ნალექების აგრესიული ზემოქმედების შედეგად ხის კონსტრუქციები რამოდენიმე უბანზე გამომპალია, შეინიშნება სოკოთი დაავადებული უბნები.

ნაგებობა №2-ის შიდა სივრცეში კიბის უჯრედი მოწყობილია ლითონის ელემენტებით. კიბის უჯრედის ძირითად მზიდ კონსტრუქციას (ბაქნები, ჩანები) ლითონის ორტესებრი კოჭები წარმოადგენს (სურ. 42). საფეხურები ანაკრები რკინაბეტონისაა.

შიდა ეზოს მხრიდან შენობაზე მოწყობილია ხის კონსტრუქციებით შესრულებული ხვეული კიბე. კიბის ხის ელემენტებზე შეინიშნება გამომპალი და სოკოთი დაავადებული უბნები (სურ. 39, 40),

ვიზუალური კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინამძღვრიშვილის ქ. 116-ში (ს.კ. 01.13.08.005.035) მდებარე შენობის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [4], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ზე დაყრდნობით, დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის შკალა MCK-64-ის მიხედვით, III ხარისხისაა (მძიმე დაზიანება);

წინამძღვრიშვილის ქ. 116-ში (ს.კ. 01.13.08.005.035) მდებარე საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი [3]-ის მიხედვით ნაგებობა №2 სეისმურად არამდგრადია.

ვიზუალური გამოკვლევის შედეგად, სახელმძღვანელო დოკუმენტი [7]-ის მიხედვით დადგინდა, რომ ნაგებობა №2-ის მზიდი კონსტრუქციები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება III კატეგორიას.

ნაგებობა №3

ნაგებობა №3 წინამძღვრიშვილის ქ. №99-ში (ს.კ. 01.16.01.012.002) მდებარეობს (სურ. 1). შენობა დანიშნულების მიხედვით საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს (სურ. 43, 44, 45, 46).

შენობა XIX საუკუნის დასასრულსაა აშენებული. მას 11.10.07-დან მინიჭებული აქვს კულტურული მიმკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (რეგისტრაციის №5294, პასპორტის №010104046).

შენობას გააჩნია მცირე ზომის შიდა ეზო, რომელსაც შესასვლელი წინამძღვრიშვილის ქუჩის მხრიდან აქვს. ეზო წინამძღვრიშვილის ქუჩას სამანქანო გვირაბით უკავშირდება.

ნაგებობა №3-ის დასავლეთი ფასადის კედელი წინამძღვრიშვილის ქუჩაზე გამოდის (სურ. 45, 46), ხოლო სამხრეთ ფასადის კედელი დ. კლდიაშვილის ქუჩაზე (სურ. 43, 44). ნაგებობა №3 ორი დამოუკიდებელი ნაკვეთურისაგან შედგება. პირველი ნაკვეთური მთავარი ფასადით წინამძღვრიშვილის ქუჩაზე გამოდის და მას რუსული ასო „Г“ ფორმა აქვს (სურ. 46), ხოლო მეორე ნაკვეთური ფასადებით წინამძღვრიშვილის

და დ. კლდიაშვილის ქუჩებზე გამოდის და მას რუსული ასო „П“ ფორმა აქვს (სურ. 43, 44, 45).

ნაგებობა №3-ის პირველი ნაკვეთური სამსართულიანია ნახევარსარდაფით, ხოლო მეორე ნაკვეთური ორსართულიანი.

პირველი და მეორე ნაკვეთურების ფანჯრისა და კარებების ზღუდარები აგურის წყობით შესრულებული სოლისებრი კონსტრუქციებია.

შენობის სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის მზიდ კოჭებზე დაფენილი ფიცარნაგებით.

ნაგებობა №3-ის სახურავი მრავალქანობიანია და მისი მზიდი კონსტრუქციები (ნივნივები, დგარები, გრძივები, შეფიცვრა) ხის მასალით არის შესრულებული. საბურველი მოწყობილია თუნუქის ფურცლებით.

შენობის პირველ ნაკვეთურს მეორე სართულზე წინამძღვრიშვილის ქუჩის მხრიდან გააჩნია ლითონის ელემენტებით მოწყობილი ღია კონსოლური აივნები (სურ. 46).

კონსტრუქციული თვალსაზრისით ნაგებობა №3-ის პირველი და მეორე ნაკვეთურები აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლებიან შენობას წარმოადგენს ყოველგვარი ჩანართების და გაძლიერების გარეშე. პირველი ნაკვეთურის კედლის წყობაში გამოყენებულია სტანდარტული სტანდარტული 250×120×65მმ ზომის კერამიკული აგური, წყობა შესრულებულია ქვიშა-კირის დუღაბით. მეორე ნაკვეთურის კედლის წყობაში გამოყენებულია ქართული 190×190×50 მმ ზომის კერამიკული აგური, რომელიც არ გამოირჩევა ფორმისა და ზომების სტაბილურობით. წყობა შესრულებულია თიხამინერალებით გაჯერებული დუღაბით.

ნაგებობა №3 გეგმაში რთული ფორმისაა და იგი ანტისეისმური დეფორმაციული ნაკერებით არ არის დაყოფილი გეგმაში მარტივ ნაკვეთურებად, რაც არ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტი [3]-ის, თავი III. მუხლი 6, პუნქტი 1-ის მოთხოვნებს მოთხოვნებს.

ვიზუალური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ როგორც პირველ, ასევე მეორე ნაკვეთურებს არც სართულშუა გადახურვის და არც სახურავის დონეებზე არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელები, რაც ეწინააღმდეგება პროექტირების ნორმების [3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7-ის მოთხოვნებს.

გამოსაკვლევი შენობის სართულის სიმაღლის შეფარდება მზიდი კედლების სისქესთან ყველა უბანზე ნაკლებია 10-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [3], თავი III. მუხლი 15, პუნქტი 10-ის მოთხოვნებს რვაბალიანი სეისმური უბნებისათვის.

შენობის შუაკედლისების სიგანის მნიშნელობები ბევრ უბანზე არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში აგურის მზიდკელებიანი ნაგებობებისათვის.

შენობის კონსტრუქციული სქემა და მოცულობით-გეგმარებითი გადაწყეტა არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის უბნისათვის ნორმატიული დოკუმენტის [3] მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე შენობა სეისმურად არადმგრადია.

პირველი ნაკვეთური

პირველი ნაკვეთურის მთავარი ფასადის კედლები შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით (სურ. 46). ნახევარსარდაფის გადახურვის დონემდე კედლები შელესილი და შეღებილია. პირველი და მეორე სართულების კედლები მორთულია დეკორატიული ნალესობებით. კედლებზე მოწყობილია პილასტრები. პირველი სართულის სართულშუა გადახურვის და სახურავის დონეზე მოწყობილია ლავგარდანები. შენობის წყალსარინი სისტემის დაზიანების გამო ხანგრძლივი დროის განმავლობაში წყალი ჩამოედინებოდა ფასადის კედელზე, რის შედეგადაც რამოდენიმე უბანზე ჩამოცვენილია ნალესი (სურ. 47, 48), შენობის ტორეცის კედელი არ არის შელესილი (სურ. 49). კედლის აგურის წყობაში გამორეცხილია დუღაბი.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად ასევე დადგინდა, რომ მთავარი ფასადის კედელი დაბზარულია მრავალრიცხოვანი ვერტიკალური და დახრილი ბზარებით.

ბზარები ვრცელდება საძირკვლებიდან სახურავამდე ფანჯრის ღიობების გავლით (სურ. 50). ამ მხრივ განსაკუთრებით დაზიანებულია ფასადის კედელი ეზოში შესასვლელი გვირაბის თავზე. ამ უბანზე შეინიშნება დიდი გახსნილობის ბზარები (სურ. 51, 52, 53).

შენობის კედლები მოჭიმულია ფოლადის ჭიმებით (სურ. 54). უნდა აღინიშნოს, რომ შენობის ამგვარი ტიპის გაძლიერება დროებითი ხასიათისაა.

აღნიშნული დაზიანებები, დეფორმაციები, ბზარები გამოწვეულია შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდომით. რაც ნაგებობა №3-ის პირველი ნაკვეთურის საძირკვლების არასაკმარისი მზიდუნარიანობითაა გამოწვეული. შენობის დაზიანებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შენობის საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობა არადამკმაყოფილებელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შენობას გააჩნია ღია ტიპის ლითონის ელემენტებით მოწყობილი აივანი (სურ. 55). აივნის ძირითად მზიდ კონსტრუქციას ლითონის №12 შველერი წარმოადგენს, რომელზეც ზემოდან დაფენილია ფოლადის ფურცელი. აივნის ლითონის ელემენტები არ არის დაფარული ანტიკოროზიული ხსნარით და მასზე შეინიშნება ჟანგვის ნიშნები.

აქედან გამომდინარე, შენობის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი [3]-ის მიხედვით ნაგებობა №3-ის პირველი ნაკვეთური სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №3-ის პირველი ნაკვეთურის მზიდი კონსტრუქციები, სახელმღვანელო დოკუმენტის [7], დანართი II, ცხრილი II-2-ის მიხედვით, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთნება III კატეგორიას.

მეორე ნაკვეთური

ნაგებობა №3-ის მეორე ნაკვეთური კონსტრუქციული თვალსაზრისით აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლიან ნაგებობას წარმოადგენს ყოველგვარი ჩანართებისა და გაძლიერებების გარეშე. წყობაში გამოყენებულია ქართული 190×190×50

მმ ზომის კერამიკული აგური, რომელიც არ გამოირჩევა ფორმისა და ზომების სტაბილურობით. წყობა შესრულებულია თიხამინერალებით გაჯერებული დუღაბით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაგებობა №3-ის მეორე ნაკვეთური ორსართულიანია. შენობის ფასადის კედლები შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. შენობაზე პირველი სართულის სართულშუა გადახურვის და სახურავის დონეზე მოწყობილია ლავგარდანები. შენობის წყალსარინი სისტემის დაზიანების გამო შელესვა ბევრ უბანზე დაზიანებული, გამობერილი და ჩამოცვენილია. ამ მხრივ განსაკუთრებით დაზიანებულია სამხრეთ ფასადის კედელი. ბევრ უბანზე ნალესი ჩამოშლილი და ჩამოცვენილია (სურ. 56, 57, 58, 59, 60, 61), კედლის აგურის წყობაში ხდება დუღაბის გამორეცხვა.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ მეორე ნაკვეთურის ფასადის კედლებზე შეინიშნება მრავალრიცხოვანი ბზარები და დეფორმაციები. ბზარები გამჭოლი ხასიათისაა და ვრცელდება საძირკვლებიდან სახურავამდე (სურ. 56, 58, 62, 63, 64, 65, 66).

აღნიშნული დაზიანებები, დეფორმაციები, ბზარები გამოწვეულია შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდომით. რაც ნაგებობა №3-ის მეორე ნაკვეთურის საძირკვლების არასაკმარისი მზიდუნარიანობითაა გამოწვეული. შენობის დაზიანებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შენობის საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობა არადამკმაყოფილებელია.

შენობას წინამძღვრიშვილის ქუჩის მხრიდან გააჩნია ხის ელემენტებით მოწყობილი კონსოლური ტიპის აივანი (სურ. 67). აივნის ძირითად მზიდ კონსტრუქციას ხის კოჭები და ძელები წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ სიძველისა და ატმოსფერული ნალექების აგრესიული ზემოქმედების შედეგად აივნების ხის კონსტრუქციები დეფორმირებულია, დაბრეცილია დამპალია და გამოსულია მწყობრიდან.

დ. კლდიაშვილის ქუჩის მხარე ფასადის კედელზე მოწყობილია ლითონის ელემენტებით მოწყობილი აივნები (სურ. 61, 68). აივნების ძირითად მზიდ კონსტრუქციას ფოლადის შველერები წარმოადგენს. მოაჯირები შესრულებულია ცივად ნაჭედი მხატვრული ელემენტებით. აივნების ლითონის მზიდ ელემენტებზე შეინიშნება ჟანგვის ნიშნები.

აქედან გამომდინარე, შენობის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი [3]-ის მიხედვით ნაგებობა №3-ის მეორე ნაკვეთური სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №3-ის მეორე ნაკვეთურის მზიდი კონსტრუქციები, სახელმღვანელო დოკუმენტის [7], დანართი II, ცხრილი II-2-ის მიხედვით, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთნება III კატეგორიას.

ნაგებობა №4

ნაგებობა №4 წინამძღვრიშვილის ქ. №103-ში (ს.კ. 01.16.01.012.004) მდებარე 1(1) შენობა დანიშნულების მიხედვით საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს (სურ. 1). იგი სადემონტაჟო შენობიდან 10მ.-ით არის დაშორებული. შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა. იგი ერთსართულიანია (სურ. 69, 70).

ნაგებობა №4 მთავარი ფასადით წინამძღვრიშვილის ქუჩაზე გამოდის. ფასადის კედლები შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით აგურის I ტიპის წყობით შსრულებულ მზიდკედლიან ნაგებობას წარმოადგენს. წეყობაში ძირითადად გამოყენებულია ძველი ქართული 190×190×50მმ ზომის კერამიკული აგური, რომელიც არ გამოირჩევა ფორმისა და ზომების სტაბილურობით. ჩრდილოეთ პერიმეტრის კედელზე შეინიშნება წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკის I ტიპის წყობით შესრულებული ჩანართი (სურ. 71).

ვიზუალური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ შენობას სახურავის დონეზე არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი, რაც ეწინააღმდეგება პროექტირების ნორმების [3]-ის, თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7-ის მოთხოვნებს.

გამოსაკვლევი შენობის სართულის სიმაღლის შეფარდება მზიდი კედლების სისქესთან ნაკლებია 10-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [3]. თავი III. მუხლი 15, პუნქტი 10-ის მოთხოვნებს რვაბალიანი სეისმური უბნებისათვის.

შენობის შუაკედლისების სიგანის მნიშნელობები აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს 8 ბალიანი საანგარიშო სეისმურობის ზონაში აგურის მზიდკელებიანი ნაგებობებისათვის.

შენობის კონსტრუქციული სქემა და მოცულობით-გეგმარებითი გადაწყეტა არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის უბნისათვის ნორმატიული დოკუმენტის [3] მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე შენობა სეისმურად არადმგრადია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაგებობა №4-ის ფასადის კედელი შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. შენობის სახურავის წყალსარინი სისტემის დაზიანების გამო, ატმოსფერული წყლები სახურავიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოედინებოდა შენობის ფასადის კედლებზე და აზიანებდა მათ, რის შედეგადაც ნალესი რამოდენიმე უბანზე დაზიანებული და ჩამოცვენილია (სურ. 72).

შენობის ფასადის კედლის ვიზუალური დათვალიერების შედეგად წინამძღვრიშვილის ქუჩის მხრიდან შენობაზე დაფიქსირდა ბზარები (სურ. 73). ბზარები ვრცელდება კედლის მთელ სიმაღლეზე.

აღნიშნული დაზიანებები და ბზარები გამოწვეულია შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდომით, რაც ნაგებობა №4-ის საძირკლების არასკამარისი მზიდუნარიანობითაა გამოწვეული. შენობის დაზიანებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შენობის საძიკვლების ტექნიკური მდგომარეობა არადამკამყოფილებელია.

აქედან გამომდინარე, წინამძღვრიშვილის ქ. №103-ში (ს.კ. 01.16.01.012.004) მდებარე 1(1) შენობის მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი [3]-ის მიხედვით ნაგებობა სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №4-ის 1(1) შენობის მზიდი კონსტრუქციები, სახელმღვანელო დოკუმენტის [7], დანართი II, ცხრილი II-2-ის მიხედვით, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთნება III კატეგორიას.

ნაგებობა №5

ნაგებობა №5 ტოვსტონოგოვის ქ. №13-ში (ს.კ. 01.13.08.005.001) მდებარე საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს (სურ. 74, 75). იგი სადემონტაჟო შენობის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და მისგან 7მ-ით არის დაშორებული (სურ. 1).

ნაგებობა №5-ს 11.07.10წ.-დან მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (რეგისტრაციის №4925, პასპორტის №010104032). შენობა აშენებულია XX საუკუნის დასაწყისში.

ნაგებობა №5 ოთხსართულიანია სარდაფით. მას გეგმაში რუსული ასო „П"-ს ფორმა აქვს. შენობას გააჩნია მცირე ზომის შიდა ეზო, რომელიც ტოსტონოგოვის ქუჩას შესასვლელი გვირაბით უკავშირდება. გვირაბის შესასვლელში შეკიდულია ლითონის ელემენტებით მოწყობილი ჭიშკარი (სურ. 76).

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლიან ნაგებობას წარმოადგენს, რომლის მზიდი კედლები განლაგებულია როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით. კედლის წყობაში გამოყენებულია სტანდარტული 250×120×65 მმ ზომის აგური. წყობა შესრულებულია თიხამინერალებით გაჯერებულ;ი დუღაბით.

ფანჯრების და კარებების ზღუდარები შესრულებულია სოლისებრი ტიპის აგურის კონსტრუქციებით. სართულშუა გადახურვა მოწყობილია ხის მზიდ კოჭებზე დაფენილი ფიცარნაგებით. შენობას მთავარი ფასადის მხრიდან გააჩნია ლითონის ელემენტებით მოწყობილი ღია კონსოლური აივნები.

ვიზუალური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ შენობას არც სართულშუა გადახურვის და არც სახურავის დონებზე არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელები, რაც ეწინააღმდეგება პროექტირების ნორმების [3]-ის, თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7-ის მოთხოვნებს.

გამოსაკვლევი შენობის სართულის სიმაღლის შეფარდება მზიდი კედლების სისქესთან ყველა უბანზე ნაკლებია 10-ზე, რაც აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [3]. თავი III. მუხლი 15, პუნქტი 10-ის მოთხოვნებს რვაბალიანი სეისმური უბნებისათვის.

შენობის შუაკედლისების სიგანის მნიშნელობები თითქმის ყველგან არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტის [3], თავი III, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10-ის მოთხოვნებს 8 ბალიანი საანგარიშო სეისმრობის ზონაში აგურის მზიდკელებიანი ნაგებობებისათვის.

შენობის კონსტრუქციული სქემა და მოცულობით-გეგმარებითი გადაწყეტა არ აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის უბნისათვის ნორმატიული დოკუმენტის [3] მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე შენობა სეისმურად არადმგრადია.

ნაგებობა №5-ის მთავარი ფასადის კედელი შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. შენობის ფასადის კედელზე ყველა სართულის სართულშუა გადახურვის და სახურავის დონეებზე მოწყობილია ლავგარდანები. რამოდენი უბანზე ლავგარდანები დაზიანებულია მექანიკურად. კერძოდ, წყალსარინი სისტემის მილების დამონტაჟებისას მოხდა ლავგარდანების ჩაჭრა (სურ. 77, 78, 79). წყალსარინი სისტემის დაზიანების გამო, ატმოსფერული წყლების აგრესიული ზემოქმედების შედეგად შენობის კედლებზე ბევრ უბანზე გამობერილი, დაზიანებული და ჩამოშლილია შელესვა (სურ. 75, 78, 79). უნდა აღინიშნოს, რომ შენობის ტორეცის და უკანა პერიმეტრის კედლები არ არის შელესილი. კედლის აგურის წყობაში დუღაბი გამორეცხილია (სურ. 80, 81, 82, 83).

შენობის ფასადის კედლების დათვალიერების შედეგად მათზე დაფიქსირდა მრავალრიცხოვანი დახრილი და ვერტიკალური ბზარები. კედლები ძლიერ დაზიანებულია. ბზარები შეინიშნება შუაკედლისებზე, გაბზარულია ფანჯრის ღიობების ზედა და ქვედა ნაწილები (სურ. 82, 83, 84). ბზარები ვრცელდება საძირკვლებიდან სახურავამდე. ბზარები დიდი გახსნილობისაა. მათი მაქსიმალური გახსნილობა 35მმ-ია. განსაკუთრებით ძლიერადაა დაზიანებული პერიმეტრის კედლის აღმოსავლეთ ნაწილი (ტორეცი), სადაც შეინიშნება დიდი გახსნილობის ბზარები და ისინი ვრცელდება საძირკვლებიდან სახურავამდე (სურ. 87, 88).

ასევე ძლიერ დაზიანებულია სამხრეთ პერიმეტრის კედელი. ამ უბანზეც ბზარები დიდი გახსნილობისაა და ვრცელდება საძირკვლებიდან სახურავამდე (სურ. 82, 83). შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კედელი ბზარებით მთელ სიმაღლეზეა გახლეჩილი და შენობის ნაწილებს შორის კავშირი დარღვეულია. შენობის დაზიანებები ბზარები და დეფორმაციები პროგრესირებადი ხასიათისაა. აღნიშნული სამხრეთ პერიმეტრის კედელი, რღვევის თავიდან აცილების მიზნით, გაძლიერებულია ფოლადის კუთხოვანებით მოწყობილი ჩარჩოს საშუალებით. ჩარჩო კედელთან დაკავშირებულია გაძლიერების ჭიმების საშუალებით. შენობა მოჭიმულია ყველა მიმართულებით პირველი, მეორე და მესამე სართულების სართულშუა გადახურვის დონეებზე (სურ. 76, 77, 80, 81, 83, 87, 88). ჭიმები მოშვებულია.

აღნიშნული დაზიანებები და ბზარები გამოწვეულია შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდომით. რაც ნაგებობა №5-ის საძირკვლების არასკამარისი მზიდუნარიანობითაა გამოწვეული. შენობის დაზიანებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შენობის საძირკვლების ტექსნიკური მდგომარეობა არადამკამყოფილებელია.

შენობას მთავარი ფასადის მხრიდან გააჩნია ლითონის ელემენტებით მოწყობილი ღია აივნები (სურ. 89, 90). აივნების ძირითად მზიდ კონსტრუქციას ფოლადის №14 ორტესებრი კოჭები წარმოადგენს. კოჭებზე დაფენილია ლითონის ფურცელი. ლითონის მზიდი ელემენტები არ არის შეღებილი ანტიკოროზიული ხსნარით. მათზე ფიქსირდება ჟანგვის ნიშნები.

შიდა ეზოს მხრიდან შენობაზე მოწყობილია შუშაბანდები და ღია ტიპის ხის აივნები. შუშაბანდებისა და აივნების ძირითადი მზიდი კონსტრუქციები ხის მასალითაა (ხის კოჭები, ძელები, ფიცრები) მოწყობილი (სურ. 91). ხის მზიდი კონსტრუქციები დაბრეცილია, დახრილია, სიძველისა და ატმოსფერული ნალექების აგრესიული ზემოქმედების შედეგად ხის კონსტრუქციები რამოდენიმე უბანზე გამომპალია, შეინიშნება სოკოთი დაავადებული უბნები.

სახურავის კონსტრუქციები ხის მასალითაა მოწყობილი. საბურველი შესრულებულია მოთუთიებული თუნუქის ფურცლებით.

აქედან გამომდინარე ტოვსტონოგოვის ქ. №13-ში (ს.კ. 01.13.08.005.001) მდებარე შენობის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნიკური რეგლამენტი [3]-ის მიხედვით ნაგებობა №5 სეისმურად არამდგრადია.

ნაგებობა №5-ის მზიდი კონსტრუქციები, სახელმღვანელო დოკუმენტის [7], დანართი II, ცხრილი II-2-ის მიხედვით, წინაავარიულ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება IV კატეგორიას.

ნაგებობა №6

ნაგებობა №6 ტოვსტონოგოვის ქ. №11-ში (ს.კ. 01.13.08.005.032) მდებარე საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს. იგი სადემონტაჟო შენობის დასავლეთით მდებარეობს და მისგან 26 მ-ით არის დაშორებული (სურ. 1).

ნაგებობა №6-ს 11.07.10წ.-დან მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (რეგისტრაციის №4924, პასპორტის №010104039). შენობა აშენებულია XX საუკუნის დასაწყისში.

ნაგებობა №6 ოთხსართულიანია ნახევარსარდაფით (სურ. 92). მას გეგმაში რუსული ასო „П“-ს ფორმა აქვს. შენობას გააჩნია მცირე ზომის შიდა ეზო, რომელიც ტოვსტონოგოვის ქუჩას ეზოში შესასვლელი გვირაბით უკავშირდება (სურ. 93). გვირაბის შესასვლელში შეკიდულია ლითონის ელემენტებით მოწყობილი ჭიშკარი.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა აგურის I ტიპის წყობით შესრულებულ მზიდკედლიან ნაგებობას წარმოადგენს, რომლის მზიდი კედლები განლაგებულია როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით. კედლის წყობაში გამოყენებულია სტანდარტული 250×120×65 მმ ზომის აგური. წყობა შესრულებულია თიხამინერალებით გაჯერებულ;ი დუღაბით.

ფანჯრების და კარებების ზღუდარები შესრულებულია სოლისებრი ტიპის აგურის კონსტრუქციებით. სართულშუა გადახურვა მოწყობილია ხის მზიდ კოჭებზე

დაფენილი ფიცარნაგებით. შენობას მთავარი ფასადის მხრიდან გააჩნია ლითონის ელემენტებით მოწყობილი ღია აივნები.

